MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Sapari / საფეხური

UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY

შვედეთი
Sverige

UNDP

წინასაარჩევნო მოგვიტოკრინგის ანგარიში: სექსიზმი და მანდატური სტერეოტიპები სოციალურ მედიაში

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Safari / საფარი

UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY

შვედეთი
Sverige

UNDP

წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში:

სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში

ავტორი:
ქეთი მსხილაძე

მკვლევარები:
მედეა სულამანიძე, მარიამ ტალახაძე

რედაქტორი:
თამარ კინწურაშვილი

დიზაინი:
ბესიკ დანელია, IBDesign

გარეკანის ფოტო:
Shutterstock, MJgraphics

კვლევის ანგარიში მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით, გაეროს ერთობლივი პროექტის „გენდერული თანასწორობისთვის“ ფარგლებში. გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება, არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

შესავალი

პროექტი „გენდერბარომეტრი – სექსისტური განცხადებების მონიტორინგი წინასაარჩევნო პერიოდში“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტს მედიის განვითარების ფონდი (MDF) კავშირ „საფართან“ პარტნიორობით ახორციელებს. მონიტორინგის მიზანია წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში სოციალურ ქსელებში ქალი პოლიტიკოსების და სხვადასხვა საჯარო ინსტიტუტების ქალი წარმომადგენლების მიმართ გამოყენებული სექსისტური სიძულვილის ენის და გენდერული სტერეოტიპების, ასევე ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით წარმოებული კამპანიების გამოვლენა.

პროექტის ფარგლებში ორგანიზაცია „საფარმა“ მედიაექსპერტების, პოლიტიკოსებისა და გენდერის სპეციალისტების მონაწილეობით ფოკუს ჯგუფები ჩაატარა და საერთაშორისო გამოცდილებასა და ქართულ პოლიტიკურ რეალობაზე მორგებული სექსისტური სიძულვილის ენის ინდიკატორები ჩამოაყალიბა. ამ ინდიკატორებზე დაყრდნობით და ფეისბუკის ანალიტიკური ხელსაწყოს Crowdtangle-ს გამოყენებით, მედიის განვითარების ფონდმა (MDF) სოციალური მედიის მონიტორინგის მეთოდოლოგია შეიმუშავა, რომლის შუალედური მიგნებები წინამდებარე ანგარიშშია წარმოდგენილი.

მონიტორინგის შუალედური ანგარიში[1], რომელიც 26 ნოემბერს გამოქვეყნდა, 4 აგვისტოდან 4 ნოემბრის ჩათვლით მონაცემებს ასახავდა. წინამდებარე ანგარიში კი საბოლოოა და ის 4 აგვისტოდან 30 ნოემბრის ჩათვლით მონაცემებს აჯამებს, რომელიც როგორც წინასაარჩევნო, ასევე არჩევნების შემდგომი პერიოდის ტენდენციებს აანალიზებს. ანგარიში შემდეგ საკითხებს მოიცავს: მონიტორინგის მეთოდოლოგიის და მთავარი მიგნებების მიმოხილვის შემდეგ, პირველ ნაწილში მოცემულია საერთო რაოდენობრივი მონაცემები თემატიკის, ტერმინოლოგიის, სექსისტური ენის წყაროების და ადრესატების მიხედვით; მეორე ნაწილი თვისებრივი ანალიზის შედეგებს ეთმობა, კერძოდ, განხილულია ტიპური მაგალითები დარღვევის კატეგორიების მიხედვით და კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც საერთო მასალიდან კამპანიური და დეზინფორმაციული ხასიათით გამოირჩეოდა.

[1] მედიის განვითარების ფონდი, 2020. წინასაარჩევნო მონიტორინგის შუალედური ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში. https://bit.ly/346N8Qo

შინაარსი

სოციალური მედიის მონიტორინგის მეთოდოლოგია 7

მთავარი მიგნებები 9

I. რაოდენობრივი მონაცემები 11

1.1. თემატიკა 11

1.2. დარღვევების ტიპოლოგია 11

1.3. სექსისტური სიძულვილის ენის/სტერეოტიპიზაციის წყაროები 12

1.4. ადრესატები 19

1.5. ტერმინოლოგია 22

II. თვისებრივი ანალიზი 25

2.1. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა 25

2.2. გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა 27

2.3. გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა 30

2.4. გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა 33

2.5. სექსიზმი/მიზოგინია 35

2.6. ეიჯიზმი 36

3. კამპანიური ხასიათის თავდასხმები ქალ პოლიტიკოსებზე 37

3.1. კამპანია ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ 37

3.2. გენდერული როლების შეცვლა დისკრედიტაციის მიზნით 43

4. ვიზუალური მანიპულაცია 46

სოციალური მედიის მონიტორინგის მეთოდოლოგია

კვლევა შერეული მეთოდოლოგიით ხორციელდება: გამოყენებულია მონაცემების დამუშავების როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდი.

სოციალური მედიის მონიტორინგისთვის გამოყენებულია ფეისბუკის ანალიტიკური ინსტრუმენტი Crowdtangle, რომელშიც დაკვირვება წინასწარ შერჩეული მონიტორინგის სუბიექტებზე ხდება. Crowdtangle-ის ბაზის განახლება ახლად გამოვლენილი სოციალური მედიის ანგარიშებით მუდმივად ხდება. სოციალური მედიის მონიტორინგის გარდა გამოყენებულია ტრადიციული მედიის (ტელევიზია, ონლაინ მედია, ბეჭდვითი მედია) მონიტორინგის მიგნებები.

დაკვირვების საგანია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის/სტერეოტიპიზაციის:

- თემატიკა,
- დარღვევის ტიპოლოგია,
- წყაროები,
- ადრესატები,
- ტერმინოლოგია.

რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავს სტატისტიკას დარღვევის კატეგორიების, თემების და წყაროების (სამონიტორინგო მედია, პარტიები, საზოგადოება, ხელისუფლება, სხვა), ასევე, სექსისტური სიძულვილის ენის სამიზნეების და გამოყენებული ტერმინების მიხედვით.

თვისებრივი ნაწილი მოიცავს გზავნილების ტიპოლოგიას, მაგალითებს სექსისტური სიძულვილის ენის ფორმების და ინდიკატორების მიხედვით, ასევე ვიზუალური (ვიდეო და ფოტო) მანიპულაციის ტიპებს.

დარღვევის ტიპოლოგია განისაზღვრა გენდერბარომეტრის ინდიკატორების მიხედვით, რომლებიც, თავის მხრივ, საექსპერტო ფოკუს ჯგუფების საფუძველზე „საფარმა“ შეიმუშავა. აღნიშნული კვლევის შედეგად „საფარმა“ ქართული რეალობისთვის დამახასიათებელი სექსისტური სიძულვილის ენის 18 ფორმა გამოყო შესაბამისი ინდიკატორებით.[2]

[2] სრულად „საფარის“ მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიში იხილეთ ვებგვერდზე: https://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2020/11/indicators-of-sexist-hate-speech.-Sapari.Final_.pdf

მიგნებების ნაწილში ასახულია მხოლოდ ის ინდიკატორები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა.

სუბიექტების შერჩევა. დაკვირვება ხორციელდებოდა სოციალური მედიის ანგარიშებზე, რაც შემდეგ კატეგორიებს მოიცავს:

- **ფეისბუკ გვერდები:** პარტიული, პარტიების მხარდამჭერი, ოპონენტების წინააღმდეგ მიმართული, მედიის და სხვადასხვა თემატური გვერდები.
- **საჯარო ფეისბუკ ჯგუფები,** სადაც პოსტებს სხვადასხვა გვერდები ან ინდივიდუალური პროფილები აქვეყნებენ.
- **ინდივიდუალურ ფეისბუკ ანგარიშები.**

სოციალურ მედიაში სექსისტური სიძულვილის ენის/სტერეოტიპიზაციის გამოყენების მონიტორინგისთვის წინასწარ შეირჩა ფეისბუკის 117 ანგარიში, თუმცა ეს ბაზა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოვლენილი ახალი პლატფორმებით პერიოდულად ივსებოდა. შერჩეული გვერდები მოიცავს ფართო პოლიტიკურ სპექტრს: მმართველი პარტიის მხარდამჭერ და ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ანგარიშებს; „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ და ხელისუფლების მადისკრედიტირებელ ანგარიშებს; „ლეიბორისტულ პარტიასთან“, „პატრიოტთა ალიანსთან“, „ქართულ მარშთან“ დაკავშირებულ ანგარიშებს, ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებულ, პროპაგანდისტულ, კრემლთან დაკავშირებულ ანგარიშებს. ამასთანავე მონიტორინგის სუბიექტების განახლება ახლადგამოვლენილი ფეისბუკ ანგარიშების მიხედვითაც ხდება.

მთავარი მიგნებები

წინამდებარე ანგარიში 2020 წლის 4 აგვისტოდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს ასახავს.

აღნიშნულ პერიოდში გამოვლენილი შემთხვევების საფუძველზე შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:

- **სექსისტური სიძულვილის ენა და სტერეოტიპიზაცია:** მონიტორინგის პერიოდში სექსიზმის და სტერეოტიპიზაციის 308 შემთხვევა გამოვლინდა;
- ქალი პოლიტიკოსები თავდასხმის სამიზნეები ხდებოდნენ როგორც პოლიტიკური კუთვნილების და ქმედების (187 შემთხვევა), ასევე გენდერული იდენტობის გამო (109 შემთხვევა);
- **წყაროები:** პოლიტიკური პარტიები ქალი პოლიტიკოსების მიმართ სექსისტური სიძულვილის ენას და სტერეოტიპიზაციას, უმრავლეს შემთხვევაში, არ იყენებდნენ. ასეთი დარღვევების უდიდესი უმრავლესობა პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული და ასოცირებული გვერდების, საჯარო ჯგუფების და ინდივიდუალური ფეისბუკ ანგარიშების მხრიდან გამოვლინდა;
- დარღვევების ტიპოლოგიის მიხედვით, ექვსი კატეგორიიდან ხუთში ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი ანგარიშები ლიდერობდნენ, კერძოდ: მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა – 58 შემთხვევა 115-დან; გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით – 27 შემთხვევა 57-დან; გარეგნული მახასიათებლების ნიშნით 27 შემთხვევა 56-დან; გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა 20 შემთხვევა 52-დან; და ეიჯიზმი – 4 შემთხვევა 8-დან;
- სექსიზმის/მიზოგინიის კატეგორიაში (18) დარღვევების რაოდენობით პირველობა ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებულ ანგარიშებს ჰქონდა;
- **დარღვევების ტიპოლოგია:** ყველაზე ხშირად ქალ პოლიტიკოსებს შეურაცხყოფას მორალური კრიტერიუმების საფუძველზე აყენებდნენ (115 შემთხვევა), რომელსაც თითქმის თანაბარი სიხშირით გონებრივი შესაძლებლობების (57) და გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვა/შეურაცხყოფა (56) მოსდევდა. რაოდენობრივად მათზე ოდნავ ნაკლები იყო გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა (52);
- **ადრესატები:** სექსისტური სიძულვილის ენის და გენდერული დისკრიმინაციის ადრესატებს შორის თანაბარი რაოდენობით იყვნენ „ქართული ოცნების“ (7) და „ნაციონალური მოძრაობის“ (7) წარმომადგენლები, რომლებსაც „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები (5) მოსდევდნენ.
- დარღვევების რაოდენობის მიხედვით, სექსისტური თავდასხმების ყველაზე ხშირი ადრესატები იყვნენ „ევროპული საქართველოს“ (95 შემთხვევა), „ნაციონალური მოძრაობის“ (80) და „ქართული ოცნების“ (29) წარმომადგენლები.

- **დისკრედიტაციის კამპანიები:** საანგარიშო პერიოდში კამპანიური ხასიათი ჰქონდა თავდასხმებს „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატ ელენე ხოშტარიაზე, რაც მის პოლიტიკურ აქტივიზმს უკავშირდებოდა;
- პარტია „სამართლიანობისთვის“ დამფუძნებლის ეკა ბესელიას წინააღმდეგ კამპანია სტერეოტიპული გენდერული როლების ნიშნით დაიწყო.
- გამოვლინდა დეზინფორმაციის გზით პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის დისკრედიტაციის 3 შემთხვევა, რომლებიც მის გენდერულ კუთვნილებას უკავშირდებოდა;
- ზოგიერთ პოლიტიკოსს უმეტესად ერთი მახასიათებლის საფუძველზე აყენებდნენ შეურაცხყოფას, მაგალითად, ასაკის, გონებრივი შესაძლებლობების ანდა ქალის ქცევაზე სტერეოტიპული წარმოდგენის ნიადაგზე;
- **ტერმინოლოგია:** შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის დიაპაზონი მერყეობდა ნორმატიული ლექსიკიდან, რომელიც სექსისტური კონოტაციით არის ნათქვამი, უცენზურო, უხამს ლექსიკამდე. ერთსა და იმავე შეურაცხმყოფელ ტერმინს ხშირად არ იყენებდნენ. უფრო ხშირი იყო სინონიმების ან კონკრეტული ტერმინის სხვადასხვა სიტყვათშეთანხმებაში გამოყენების შემთხვევები;
- **კანონმდებლობის კრიტიკა:** სამონიტორინგო პერიოდში გამოიკვეთა იმ კანონმდებლობის კრიტიკის ტენდენცია, რომელიც ხელს უწყობს ქალთა უფლებების გაძლიერებას, ძალადობისგან ქალების დაცვას და ზოგადად, გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრას.
- **ვიზუალური მანიპულაცია:** ქალი პოლიტიკოსების შეურაცხყოფის და დაცინვის მიზნით გამოიყენებოდა ფოტო და ვიდეომანიპულაციები. გამოვლინდა ფოტომანიპულაციის გზით დეზინფორმაციის გავრცელების შემთხვევები, რომელთა მიზანი პოლიტიკოსი ქალების დისკრედიტაცია იყო.

I. რაოდენობრივი მონაცემები

1.1. თემატიკა

მონიტორინგის პერიოდში 4 აგვისტოდან 30 ნოემბრის ჩათვლით, სექსისტური სიძულვილის ენის/ გენდერული სტერეოტიპიზაციის სულ 308 შემთხვევა გამოვლინდა. ისინი სამ თემატიკას ეხებოდა – პოლიტიკა, გენდერი და კანონმდებლობა. ყველაზე მეტი დარღვევა (187 შემთხვევა) პოლიტიკის თემატიკაში გამოვლინდა, რაც მეტწილად წინასაარჩევნო პოლიტიკურ პროცესს და ამ პროცესის მონაწილე სუბიექტებს უკავშირდებოდა. აქ გაერთიანდა შემთხვევები, რომლებშიც ქალი პოლიტიკოსები სექსისტური სიძულვილის ენის და სტერეოტიპიზაციის სამიზნეები ხდებოდნენ მათი პოლიტიკური კუთვნილების და საქმიანობის გამო. სიდიდით მეორე თემატიკა გენდერი იყო (109 შემთხვევა), სადაც გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებია გაერთიანებული, რომელთა სამიზნეც ქალი პოლიტიკოსები გენდერული კუთვნილების გამო არიან. მესამე იყო კანონმდებლობა (12), რაც იმ რეგულაციების კრიტიკას და გადახედვის აუცილებლობას შეეხება, რომელიც თანასწორობის საკითხებს აერთიანებს. თემატურ ჭრილში გამოვლენილი დარღვევების პროცენტული გადანაწილება, შესაბამისად, იყო 62.1%, 34.1% და 3.8%.

დიაგრამა 1. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპიზაციის შემთხვევები თემატიკის მიხედვით (%)



1.2. დარღვევების ტიპოლოგია

მონიტორინგის გზით გამოვლენილი სექსისტური სიძულვილის ენის/სტერეოტიპიზაციის შემთხვევები, გენდერბარომეტრის ინდიკატორების მიხედვით, შემდეგ კატეგორიებად დაჯგუფდა:

1. სექსიზმი/მიზოგინია – ქალებსა და ქალთა უფლებებზე თავდასხმები,
2. გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა – შეურაცხყოფის მიყენება და დაცინვა სხეულის, გარეგნობის, საუბრის მანერის, ჩაცმულობის ნიადაგზე,
3. ეიჯიზმი – დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით,
4. გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა – ინტელექტუალური უნარების, გამოცდილების, კომპეტენციების დაკნინება,
5. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა – ზნეობრივი ღირებულებების საფუძველზე თავდასხმა,
6. გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა – თავდასხმები ქალის გენდერული როლის, ქცევის, დანიშნულების, საქმიანობის თუ სხვა მახასიათებლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების საფუძველზე.

ყველაზე ხშირად ქალ პოლიტიკოსებს შეურაცხყოფას მორალური კრიტერიუმების მოხმობით აყენებდნენ (115 შემთხვევა). გონებრივი შესაძლებლობების (57) და გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვის/შეურაცხყოფის (56) სამიზნეები ისინი თითქმის თანაბარი სიხშირით ხდებოდნენ, რასაც მცირედით ჩამორჩებოდა გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა (52). სექსიზმის/მიზოგინიის კატეგორიაში 20 შემთხვევა გამოვლინდა. ყველაზე ცოტა იყო ეიჯიზმის, ანუ ასაკის ნიშნით შეურაცხყოფის შემთხვევა (8). პროცენტულ გამოსახულებაში დარღვევების ტიპოლოგია მოცემულია დიაგრამაში 2.

დიაგრამა 2. დარღვევების ტიპოლოგია (%)



1.3. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპიზაციის წყაროები

მონიტორინგის პერიოდში (4 აგვისტო - 30 ნოემბერი) სექსისტური სიძულვილის ენის გამოყენების და გენდერული ნიშნით სტრეოტიპიზაციის შემთხვევები სულ 88 ანგარიშზე გამოვლინდა.

სოციალური მედიის ანგარიშების დაჯგუფება მათი პოლიტიკური, იდეოლოგიური თუ სხვა კუთვნილების მიხედვით მოხდა, რაც ადრე ჩატარებულ კვლევებს და თავად ფეისბუკ ანგარიშებზე ხელმისაწვდომ ინ-ფორმაციას ეფუძნება. გამოიკვეთა შემდეგი ჯგუფები:

1. მმართველი პარტიის მხარდამჭერი ანგარიშები;
2. ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი ანგარიშები;
3. „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი ანგარიშები;
4. ხელისუფლების მადისკრედიტირებელი ანგარიშები;
5. „ლეიბორისტულ პარტიასთან“ დაკავშირებული ანგარიშები;
6. „პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებული ანგარიშები;
7. „ქართულ მარშთან“ დაკავშირებული ანგარიშები;
8. ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებული ანგარიშები;
9. პროპაგანდისტული ანგარიშები, სადაც გაერთიანებულია ის პლატფორმები, რომლებიც, სხვადასხვა კვლევების თანახმად, როგორც საგარეო, ასევე შიდა პოლიტიკის საკითხებზე დეზინფორმაციას ხში-რად ავრცელებენ;
10. კრემლთან დაკავშირებული ანგარიში;
11. სხვადასხვა.

ცხრილი 1. სოციალური მედიის ანგარიშები პოლიტიკური, იდეოლოგიური კუთვნილების / სხვა ნიშნის მიხედვით

მმართველი პარტია და მასთან დაკავშირებული ანგარიშები	„ქართული ოცნების“ და მისი მხარდამჭერი ანგარიშები	ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი
	FB გვერდები ლიდერი 41 ირაკლი კობახიძე / Irakli Kobakhidze **FB ჯგუფები** ჩვენ გავიმარჯვებთ 41 /we will win 41 პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია ბიძინა ივანიშვილის მეგობრები „ფეისბუქზე“ დარეჯან ლიპარტელიანის პოსტი ჯგუფში კახა კალაძე თბილისი მერი 41-კვლავ ხალხის სამსახურში ბიძინა ივანიშვილი. ქართული ოცნება. **FB ინდივიდუალური ანგარიშები** Sopiko Kikacheishvili ლაშა გვასალია David Akhrakhadze Mindo Mandela გაბრიელი კამაევი Oboladze Gia	**FB გვერდები** ქვეყნის მტრები ერთიანი ნაციონალური დვიჟენია მიხეილ უკრაინოლოგი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები რეჟიმი გიყურებს ტერენტი გლდანელი სექტა სირცხვილის კორიდორი რეალობა მეხუთე რეიხი ნაცი კლავს შუბლის ძარღვ გაწყვეტილები Miha Hamodi **FB ჯგუფები** ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო „სიმართლის გზა“ გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა! დავასრულოთ ნაცები – Davasrulot Nacebi! INFO

ოპოზიცია	„ნაციონალური მოძრაობის“/ მხარდამჭერების ანგარიშები	ხელისუფლების მადისკრედიტირებელი
	FB ჯგუფები Alli Babaa (ტროლი) გააზიარა ჯგუფებში ხატია დეკანოიძე-ისნის მაჟორიტარად მიხეილ სააკაშვილის შტაბი მიშა პრემიერად! **ინდივიდუალური FB ანგარიშები** Mikheil Saakashvili Kakhaber Adamia მე შენ ლელა Ani Tsitlidze Alli Babaa	**FB გვერდები** ქოცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო ექვთიმე ბიძინაშვილი ჯალათი მამის ცივსისხლიანი შვილი ქვეყნის არაფორმალური მმართველი ლურჯი ვირი What the fuck is that Annual events ყოველწლიური მოვლენები (ოპოზიციასთან დაკავშირებული) ყოველდღიური მოვლენები **FB ჯგუფები** LIVE GEORGIA აქტუალური თემები, საინტერესო მოვლენები და ფაქტები!
„ლეიბორისტული პარტია“	**„პატრიოტთა ალიანსის“, მხარდამჭერების ანგარიშები, დაკავშირებული გვერდები**	**„ქართულ მარშთან“ დაკავშირებული ანგარიშები**
FB გვერდები Shalva Natelashvili – შალვა ნათელაშვილი **ინდივიდუალური FB ანგარიშები** Shalva Natelashvili	**FB გვერდები** Tinp.ge – დღეს პოლიტიკაში[3] Memeატურები[4] პოლიტიკური სარკაზმი პოლიტიკოსები 1 ლარიდან BS Info მედია საშუალების FB გვერდი მედია-კავშირი ობიექტივი[5] **FB ჯგუფები** პატრიოტთა ალიანსის მხარდამჭერები!!! ირმა ინაშვილის მხარდამჭერები POLITIKO **ინდივიდუალური FB ანგარიშები** ნინო კვარაცხელია	**FB გვერდები** ანტილიბერალური დოქტრინა[6] **FB ჯგუფები** „ქართული მარში – ეროვნული მოძრაობის“ მხარდამჭერთა ჯგუფი **„ქართული მარშის“ წევრების ინდივიდუალური FB ანგარიშები** Ermile Nemsadze ერმილე ელგუჯას-ძე ნემსაძე Sandro Breg

[3] გვერდი ამჟამად ფეისბუკზე ხელმისაწვდომი არ არის. ფეისბუკმა პატრიოტთა ალიანსთან დაკავშირებული ანგარიშები წაშალა. ფეისბუქი, (5 ნოემბერი, 2020). 2020 წლის ოქტომბრის კოორდინირებული არაავთენტური ქცევის ანგარიში. https://about.fb.com/news/2020/11/october-2020-cib-report/ https://www.mythdetector.ge/ka/myth/ndi-da-iri-sacinaaghmdego-reklama-tinpge-ze-1000-1500-ghirs

[4] მითების დეტექტორი (12 მარტი, 2020). „დაუკავშირდით ნამდვილ ოპოზიციას!“ – პატრიოტთა ალიანსთან და სხვა ანტიდასავლურ ჯგუფებთან დაკავშირებული FB ანგარიშები https://www.mythdetector.ge/ka/myth/daukavshirdit-namdvil-opozitsias-patriotta-alianstan-da-skhva-antidasavlur-jgupebtan

[5] ობიექტივი, პროფილი. წყარო: მითების დეტექტორი https://www.mythdetector.ge/ka/profile/obiektivi

[6] ISFED, 26 ოქტომბერი, 2020. სოციალური მედიის მონიტორინგი - მეორე შუალედური ანგარიში https://isfed.ge/geo/angarishebi/201026065446sotsialuri-mediis-monitoringi-meore-shualeduri-angarishi

	პროპაგანდისტული ანგარიშები	ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებული
	ონლაინ მედიის FB გვერდები iNews. აინიუსი[7] საერთო გაზეთი[8] მარშალ პრესი[9] რეპორტიორი[10] ქართული აზრი[11] Tvalsazrisi.ge[12] POSTV-ანალიტიკა **ინდივიდუალური FB ანგარიშები** ირაკლი ჯანყარაშვილი[13]	**FB გვერდები** ალტ-ინფო[14] Geo Pepe **FB ჯგუფები** ანტილიბერალური სივრცე
	კრემლთან დაკავშირებული	**სხვადასხვა**
	FB ჯგუფები კოტე ჩიკვილაძის და გულბაათ რცხილაძის თანამოაზრეების ჯგუფი: Россия и Грузия[15]	**FB ჯგუფები** რუსთავი 21 / RUSTAVI 21 პროტესტი! Protest! Протест Georgia • საქართველო ✓ ქართველთა მსოფლიო ცენტრი Georgians World Center Всемирный центр грузин Gürc **ინდივიდუალური FB ანგარიშები** Tamaz Chikhladze Gela Zedelashvili ბესიკ ჩუბინიძე Irakli Zakareishvili Nino Labartkava

7 inews-ის მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაციები. წყარო: მითების დეტექტორი. http://mythdetector.ge/ka/search?keyword=inews

8 საერთო გაზეთის მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაციები, წყარო: მითების დეტექტორი. https://bit.ly/2GLjXtY

9 მარშალპრესის პროფილი. წყარო: მითების დეტექტორი. https://www.mythdetector.ge/ka/profile/marshalpresi

10 საერთაშორისო გამჭვირვალობა, 19 ოქტომბერი, 2015. „ვის ეკუთვნის ქართული მედია“ https://www.transparency.ge/ge/post/report/vis-ekutvnis-kartuli-media

11 „ქართული აზრის“ მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაციები. წყარო: „მითების დეტექტორი“. https://bit.ly/38MqcsY

12 თვალსაზირისის პროფილი. წყარო: მითების დეტექტორი. http://mythdetector.ge/ka/profile/tvalsazrisige-tvalsazrisige

13 მითების დეტექტორი, 10 ივნისი, 2020. რა საერთო აქვთ Иракли Иракли-ს, ანტილიბერალურ დოქტრინას, News Front-სა და tvalsazrisi.ge-ს ერთმანეთთან?” http://mythdetector.ge/ka/myth/ra-saerto-akvt-irakli-irakli-s-antiliberalur-doktrinas-news-front-sa-da-tvalsazrisige-s

14 2020 წლის ოქტომბრის კოორდინირებული არაავთენტური ქმედების ანგარიში. Facebook, 2020 წლის ოქტომბერი, https://about.fb.com/news/2020/11/october-2020-cib-report/

15 მითების დეტექტორი, 1 ნოემბერი, 2019. News-Front Georgia - კრემლის ახალი საინფორმაციო ფრონტი საქართველოში http://mythdetector.ge/ka/myth/news-front-georgia-kremlis-akhali-sainpormatsio-pronti-sakartveloshi october-2020-cib-report/

პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკოსები, უმეტეს შემთხვევაში, თავს იკავებდნენ ქალი პოლიტიკოსების მიმართ სექსისტური სიძულვილის ენის გამოყენებისა და გენდერული სტერეოტიპიზაციისაგან. ასეთი დარღვევების უდიდესი უმრავლესობა პოლიტიკურ პარტიებთან ასოცირებული გვერდების, ჯგუფების და ინდივიდუალური ფეისბუკ ანგარიშების მხრიდან ხდებოდა.

უშუალოდ პოლიტიკოსების მხრიდან სექსიზმის და სტერეოტიპიზაციის 24 შემთხვევა გამოვლინდა, რომლებიც ასე გადანაწილდა: ხელისუფლება – 7 (მათ შორის „ქართული ოცნება“ – 2 და აღმასრულებელი ხელისუფლება – 5); „ქართული მარში“ – 7; „ნაციონალური მოძრაობა“ – 4; „ლეიბორისტული პარტია“ – 2; „ქართული იდეა“ – 2; „პატრიოტთა ალიანსი“ – 1 და „ქართული ფესვები“ – 1.

ცხრილი 2. დარღვევების რაოდენობა პოლიტიკოსების მიხედვით

პარტიული კუთვნილება	სტატუსი	დარღვევების რაოდენობა
„ქართულო ოცნება“		
ლაშა გვასალია	სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის უფროსი	4
ირაკლი კობახიძე	„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი	1
მამუკა მდინარაძე	„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე	1
სოფიკო კიკაჩეიშვილი	სამტრედიის რ-ნის სოფელ მელანის გამგებელი	1
„ქართული მარში“		
ერმილე ნემსაძე	„ქართული მარშის“ დასავლეთ საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი, ქუთაისის მაჟორიტარობის კანდიდატი	4
სანდრო ბრეგაძე	„ქართული მარშის“ ლიდერი	3
„ნაციონალური მოძრაობა“		
მიხეილ სააკაშვილი	„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი	2
ანი წითლიძე	ზუგდიდის საკრებულოს წევრი, „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციის თავმჯდომარე	1
მეგი გოცირიძე	„ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიის კანდიდატი	1
„ლეიბორისტული პარტია“		
შალვა ნათელაშვილი	ლეიბორისტული პარტიის ლიდერი	2
„ქართული იდეა“		
ალექსანდრე ფალავანდიშვილი	„ქართული იდეის“ დეპუტატობის კანდიდატი	2

„პატრიოტთა ალიანსი“		
ირმა ინაშვილი	„პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი	1
„ქართული ფესვები“		
ბესიკ ჩუბინიძე	„ქართული ფესვების“ დეპუტატობის კანდიდატი	1

პოლიტიკური/იდეოლოგიური თუ სხვა კუთვნილების ნიშნით დაჯგუფებული სოციალური მედიის ანგარიშების მიხედვით დარღვევების ყველაზე მეტი რაოდენობა ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ანგარიშებზე მოდის (127); რომელსაც დიდი სხვაობით ჩამორჩება ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებული ფეისბუკ ანგარიშები (36). შემდეგ ადგილზეა „ქართული ოცნების“ და მისი მხარდამჭერი ანგარიშები (31). მცირე სხვაობაა „პატრიოტთა ალიანსის“ და მასთან დაკავშირებული ანგარიშების (27), ხელისუფლების მადისკრედიტირებელი ანგარიშების (25) და პროპაგანდისტული ანგარიშების (21) შემთხვევაში. დარღვევის 11 შემთხვევა გამოვლინდა „ქართულ მარშთან“ დაკავშირებულ ანგარიშებზე, 8 „ნაციონალური მოძრაობის“/მხარდამჭერების ანგარიშებზე და 2 „ლეიბორისტული პარტიის“ ანგარიშებზე. ჯამში 20 დარღვევა სხვადასხვა ანგარიშებზე გამოვლინდა.

დარღვევების რაოდენობის პროცენტული განაწილება დაჯგუფებული ანგარიშების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამაზე 4. „ლეიბორისტული პარტიის“ 2 დარღვევა შეტანილია „სხვადასხვაში“.

დიაგრამა 3. დარღვევების საერთო რაოდენობა სოციალური მედიის ანგარიშების ჯგუფების მიხედვით (%)



დარღვევების ტიპოლოგიის მიხედვით კი, ლიდერი დარღვევის ყველა ტიპის მიხედვით, გარდა ერთისა, ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელი ანგარიშები იყო, კერძოდ: მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა – 58 შემთხვევა 115-დან; გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით – 27 შემთხვევა 57-დან; გარეგნული მახასიათებლების ნიშნით 27 შემთხვევა 56-დან; გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა 20 შემთხვევა 52-დან; და ეიჯიზმი – 4 შემთხვევა 8-დან.

ერთადერთი კატეგორია, რომელშიც ფეისბუკ ანგარიშების სხვა ჯგუფი – ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებული ანგარიშები – ლიდერობდა იყო სექსიზმის/მიზოგინიის კატეგორია (18 შემთხვევა 20-დან).

დიაგრამა 4. დარღვევების ტიპოლოგია სოციალური მედიის ანგარიშების ჯგუფების მიხედვით (%)



რაც შეეხება დარღვევებს ცალკეული ანგარიშების მიხედვით, ყველაზე მეტი დარღვევა „სიმართლის გზას“[16] ჰქონდა (49), მათ შორის ყველაზე მეტი მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის შემთხვევა იყო (23). „ალტ-ინფოს“[17] 32 შემთხვევიდან 18 სექსიზმის/მიზოგინიის კატეგორიას მიეკუთვნებოდა. „ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტოს“ შემთხვევების (20) ნახევარი მორალური კრიტერიუმებით თავდასხმაზე მოდიოდა. დარღვევების თითქმის თანაბარი რაოდენობა ჰქონდა „პოლიტიკური სარკაზმს“ (12) და „მიხეილ უკრაინოლოგს“ (11), რომლებიც ყველაზე ხშირად ქალ პოლიტიკოსებს მორალური კრიტერიუმებით ესხმოდნენ თავს (5-5). მათ 9-9 დარღვევით მოსდევს „ქოცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო,“ „საერთო გაზეთი“, „გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა!“ და „კახა კალაძე თბილისის მერი“. მათგან პირველი ქალ პოლიტიკოსებს ყველაზე ხშირად გარეგნული მახასიათებლებით დასცინოდა (6), მეორე გონებრივი ნიშნით შეურაცხყოფდა (3), ხოლო მესამე და მეოთხე მორალური კრიტერიუმებით კიცხავდა

[16] მონიტორინგის პერიოდში ამ ანგარიშს ჯერ ერქვა „გასამართლდეს ნაცმოძრაობა – სიმართლის გზა“, შემდეგ კი სახელი შეიცვალა და „სიმართლის გზა“ გახდა.

[17] ამჟამად „ალტ-ინფო“ ხელმისაწვდომი არ არის.

(შესაბამისად, 5 და 6). ქვემოთ დიაგრამაზე ნაჩვენებია დარღვევების სიხშირით პირველი რვა ანგარიშის მონაცემები დარღვევის კატეგორიების მიხედვით. ამ 9 ანგარიშს ჯამში 160 დარღვევა ჰქონდა. დანარჩენი 148 დარღვევა 79 ანგარიშის შემთხვევაში გამოვლინდა.

დიაგრამა 5. დარღვევების ტიპოლოგია ფეისბუკ ანგარიშების მიხედვით



1.4. ადრესატები

დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი თავდასხმების ადრესატებს შორის ძირითადად პოლიტიკოსები არიან – მოქმედი პარლამენტარები, მაჟორიტარობის კანდიდატები, პარტიული სიის კანდიდატები, პოლიტიკური თანამდებობის პირები და ასევე, საარჩევნო კამპანიაში გაცხადებულად ჩართული აქტივისტები და პარტიის რამდენიმე აქტიური მხარდამჭერი. ჟურნალ „ტაბულას“ რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი „ევროპული საქართველოს“ საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის გამო აღნიშნული პარტიის მონაცემებშია შეყვანილი. ადრესატებს შორის ასევე მოხვდნენ ბელარუსის ოპოზიციური პოლიტიკური ფლანგის ლიდერი ქალები, ესტონეთის პრეზიდენტი და აშშ-ის ელჩი საქართველოში.

როგორც ქვემოთ ჩამოთვლილი ცხრილიდან ჩანს, დისკრედიტაციის ადრესატები თანაბარი რაოდენობით არიან მმართველი პარტია „ქართული ოცნებიდან“ (7) და ოპოზიციური „ნაციონალური მოძრაობიდან“ (7). ორით ნაკლები ადრესატია „ევროპული საქართველოდან“ (5). 2-2 ქალია სამიზნე „პატრიოტთა ალიანსის“ და „ლელოს“ შემთხვევაში. სხვადასხვაში გაერთიანებულია სხვადასხვა პოლიტიკური კუთვნილების 6 ქალი.

ცხრილი 3. თავდასხმის ადრესატების პოლიტიკური კუთვნილება

ქართული ოცნება	ნაციონალური მოძრაობა	ევროპული საქართველო	პატრიოტთა ალიანსი	ლელო	სხვადასხვა
1. **სალომე ზურაბიშვილი** საქართველოს პრეზიდენტი	1. **თინა ბოკუჩავა**	1. **ელენე ხოშტარია**	1. **ირმა ინაშვილი**	1. **სესილი ჭითანავა**	1. **თაკო ჩარკვიანი** „კანონი და სამართალი“
2. **თეა წულუკიანი** იუსტიციის ყოფილი მინისტრი	2. **სალომე სამადაშვილი**	2. **ხათუნა გოგორიშვილი**	2. **თამარ კოდოშვილი**	2. **თამარ ბელქანია**	2. **ნინო ბურჯანაძე** „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“
3. **ეკატერინე ტიკარაძე** ჯანდაცვის მინისტრი	3. **ხატია დეკანოიძე**	3. **ირმა ნადირაშვილი**			3. **ანა დოლიძე** „მოძრაობა ხალხისთვის“
4. **სოფო კილაძე** პარლამენტი ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე	4. **ნანუკა ჟორჟოლიანი**	4. **ნინო გოგუაძე**			4. **ეკა ბესელია** „სამართლიანობისთვის“
5. **მაია ცქიტიშვილი** რეგიონული განვითარების მინისტრი	5. **მეგი გოცირიძე**	5. **თამარ ჩერგოლეიშვილი**			5. **ხათუნა სამნიძე** რესპუბლიკური პარტია
6. **გუგული მაღრაძე** პარლამენტის წევრი	6. **სანდრა რულოვსი**				6. **ცირა ჯავახიშვილი** „ქართული მარში“
7. **რიმა ბერაძე** თბილისის საკრებულოს წევრი	7. **ნატო ჩხეიძე**				

თუმცა, დარღვევების რაოდენობის მიხედვით, სექსისტური თავდასხმების ყველაზე ხშირი ადრესატები პარტიულ ჭრილში არიან „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები (95 შემთხვევა), რომლებსაც მოსდევს „ნაციონალური მოძრაობა“ (80) და „ქართული ოცნება“ (29). პარტია „სამართლიანობისთვის“ დამფუძნებელი ეკა ბესელია და „კანონი და სამართალის“ დამფუძნებელი თაკო ჩარკვიანი 23-23-ჯერ გახდნენ თავდასხმის სამიზნე, „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე კი 9-ჯერ.

დიაგრამა 6. ადრესატების პოლიტიკური კუთვნილება დარღვევების რაოდენობის მიხედვით (%)



კონკრეტული ადრესატების მიხედვით კი, სექსისტური სიძულვილის ენის და გენდერული სტერეოტიპიზაციის ყველაზე ხშირი სამიზნე „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი, მაჟორიტარობის კანდიდატი ელენე ხოშტარიაა (54 შემთხვევა), რომელსაც მოსდევენ ამავე პარტიის საარჩევნო კამპანიის აქტივისტი თამარ ჩერგოლეიშვილი (26), „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი ნანუკა ჟორჟოლიანი (26), პარტია „სამართლიანობისთვის“ დამფუძნებელი ეკა ბესელია (23). ხელისუფლებიდან ყველაზე ხშირი სამიზნე საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილია (16). ქვემოთ დიაგრამაზე მოცემულია თავდასხმების რაოდენობრივი მონაცემები ადრესატების მიხედვით. დიაგრამაში არ არიან შეყვანილი ის ადრესატები, რომელთა მიმართაც დარღვევის 4-ზე ნაკლები შემთხვევა გამოვლინდა.

დიაგრამა 7. დარღვევების რაოდენობა ადრესატების მიხედვით



რაც შეეხება დარღვევების კატეგორიებს კონკრეტული ადრესატების მიხედვით, ელენე ხოშტარიას ყველაზე ხშირად მორალური კრიტერიუმებით ესხმოდნენ თავს (39), ხოლო თამარ ჩერგოლეიშვილს გენდერული სტერეოტიპების საფუძველზე კიცხავდნენ (18). ნანუკა ჟორჟოლიანს უმეტესად შეურაცხყოფდნენ გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით (18). ეკა ბესელიაზე თავდასხმების უდიდესი უმრავლესობა მორალური კრიტერიუმების ნიშნით იყო (22). გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა ჭარბობს ასევე სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაში (8). ქვემოთ ცხრილში მოცემულია დარღვევების ტიპოლოგია ადრესატების მიხედვით. ცხრილში არ შეგვიყვანია ის ადრესატები, რომელთა მიმართაც 4-ზე ნაკლები დარღვევა გამოვლინდა.

ცხრილი 4. დარღვევების ტიპოლოგია ადრესატების მიხედვით

ადრესატები	მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა	გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა	გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა / დაცინვა	გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა / დაცინვა	სექსიზმი / მიზოგინია	ეიჯიზმი	ჯამი
ელენე ხოშტარია	39	7	5	3			54
თამარ ჩერგოლეიშვილი	3	18		3	1	1	26
ნანუკა ჟორჟოლიანი	4	2	18	2			26
ეკა ბესელია	22	1					23
თაკო ჩარკვიანი	11	7	3	2			23
თინა ბოკუჩავა	6	1	1	11			19
სალომე ზურაბიშვილი	4		8	4			16
სალომე სამადაშვილი	2	2		10	1		15
ხატია დეკანოიძე	6	2	2				10
ხათუნა გოგორიშვილი		1		5		3	9
ნინო ბურჯანაძე	2	1	2	2		2	9
მეგი გოცირიძე	3			4			7
ეკატერინე ტიკარაძე	1	1	2	1			5
ნინო გოგუაძე		1	2	1			4
თეა წულუკიანი		1		3			4

1.5. ტერმინოლოგია

მონიტორინგის პერიოდში ქალების მიმართ გამოყენებული შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია ნორმატიულ ლექსიკასა და უხამსობას შორის მერყეობდა. ნორმატიული ლექსიკა სექსისტური კონოტაციით გამოიყენებოდა (მაგალითად, „გოგონები“ ან „ბებო“ ასაკის ნიშნით შეურაცხყოფისთვის).

ამ ტერმინოლოგიის ადრესატებს შორის ამ შემთხვევაშიც „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი ელენე ხოშტარია ლიდერობდა (73 შემთხვევა). მას მოსდევდა „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატი ნანუკა ჟორჟოლიანი (49). ხელისუფლების წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების ყველაზე მეტი შემთხვევა ეკატერინე ტიკარაძის მიმართ გამოვლინდა (6). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ნაჩვენებია შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევების

რაოდენობრივი განაწილება ადრესატების მიხედვით. დიაგრამაში არ მოხვდნენ ის ადრესატები, რომელთა მიმართაც ასეთი ტერმინების გამოყენების 4-ზე ნაკლები შემთხვევა გამოვლინდა.

დიაგრამა 10. შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება ადრესატების მიხედვით



ერთსა და იმავე შეურაცხმყოფელ სიტყვას ხშირად არ იმეორებენ. უფრო ხშირია სიტყვის სხვადასხვა სიტყვათშეთანხმებით გამოყენება. მაგალითად, სიტყვა „შტერი“ გვხვდება სიტყვათშეთანხმებაში „პროვინციელი შტერი“; სიტყვა „ქაჯი“ სიტყვათშეთანხმებაში „ბოროტი ქაჯი“ ან „ქაჯი არტილერისტი“; „არაქალი“ კი, „არაქალი ნაგავი“.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია მონიტორინგის პერიოდში გამოვლენილი დისკრიმინაციული/შეურაცხმყოფელი სიტყვები და ფრაზები დარღვევის ტიპოლოგიის მიხედვით.

ცხრილი 8. დისკრიმინაციული / შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია დარღვევები ტიპოლოგიის მიხედვით

დარღვევის ტიპოლოგია	ტერმინოლოგია
მორალური კრიტერიუმების მიხედვით თავდასხმა	ბოზები, გამყიდველი, დამფუძნებელი კახპა, კახპები, სოროსის კახპა, სულით და ხორცით კახპა ქალი, ბონძღები, კამსამოლკა, გავრილოვის ნასედკა, გაურკვეველი ორიენტაციის მქონე, გიმო დამთავრებული, პრორუსული ძალის მქონე პოლიტიკოსი, ქვეყნისთვის საშიში, გოგოშკები, გაქანებული ლიბერასტი, ლგბტ ლობისტი, ბერწი ძუკნა, ძუკნა ქალი, ჰოლანდიელი ძუკნა, ქალი-ტაიფუნი, შეურაცხადი ქალები, თახსირი, იმნაირი, მაჟორკა, ნაბოზარი, არაქალი, ნაძირალა, ტუტუცი, შხუილას ერთ-ერთი ქალი, ჯალათი, არაქალი ნაგავი, მონა ქალი, „წმინდანი“, ზნეობისგან გამოცლილი, კუსკუსელა, ნაცების ქალი, სტაჟიანი ლეზბიანკა, ბადრი ესებუას ქალები, ანდროიდი, ინკუბატორში გამოყვანილი, ნამუსგარეცხილი, სატანა, სერიული, უსულო, შხუილას ქალი უკრაინაში, კრიმინალი ქალბატონი, წაკლა, ნაბიჭვარი, ყლექალა, საქონელი
გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვა / შეურაცხყოფა	ჟოლუსკები, ტროიკა, ფერიები, აჟიტირებული ქალის ისტერიკა, მახინჯი, გრძელკისერა, მახინჯები, გემრიელი ლუკმა, ულამაზესი ლუკმა, დასაბანი, დიდთავა კამეჩი, უშნო გველი, გოგო, დაგორავს, ქაჯეთის დედოფალი, პელენწუკა, დასჩხავლა ყვავივით, ყვავი, ამ ვიდით რამდენს ბედავ!! შე საცოდაო, ზეზვას შთამომავალი, შრეკის გარე ბიძაშვილი, გოიმბაში, საფრთხობელა
გენდერული სტერეოტიპების საფუძველზე	დიასახლისი, სასოწარკვეთილი დიასახლისი, ნაგიჟარი, ქაჯი, ჩაცუცქულები, ქალბიჭა, ქუჩაში „სვისტოკით“ მორბენალი ქალი, შვიშტოკა, ლამაზ-ლამაზი ტრაკუცუნა ქალბატონები, ტუჩებდაბერილი სომეხი ქალბატონი ლამაზმანი, ქალწულის სიწმინდე, ვერელი ფლამინგო, ტაკოია, კაცურად, ერთ-ერთი ლიდერის ცოლი, ფსიხიკური სიცილი, რაღაჩნაირი სათნოური, ქალური, ქალაჩუნა, დედაკაცები, ჩვენი რძალი, არაპოლიტიკური მანდილოსანი, დიასახლისი მანდილოსანი, სუსტი ქალი, უსახური, პლასტიკური

დარღვევის ტიპოლოგია	ტერმინოლოგია
სექსიზმი/მიზოგინია	„გმირი ქალები“, „ფუსი რაიოტი“, ფუჩუ, კვოტირებული იდიოტები, მდედრიონი, ფუჩუ ფემინოზავრები, „სოროსის სბროდი“, ფუჩუ ფემინოზავრები, მდედრიონი, ფემინისტები, ერთ-ერთი ლიდერის ცოლი
გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დაცინვა	პრიალა და უნაოჭო ტვინი, ოროსანი, დებილი, აბსოლუტური ჩლუნგი, გაუნათლებელი, გიჟუა ქალი, ჩლუნგი, ჩლუნგი არსება, დეგენერატი, იდიოტკა, დებილკა, შტერი
ეიჯიზმი	ბებერი ჯორი, ბებო, ეგზემპლარი, კლიმაქსიანი დედაკაცი, ყვავი, გოგონები

II. თვისებრივი ანალიზი

მონიტორინგის პერიოდში (4 აგვისტო – 30 ნოემბერი) გამოვლენილი შემთხვევების თვისებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ ყველაზე ხშირად ქალი პოლიტიკოსები მორალური კრიტერიუმებით თავდასხმების სამიზნეები ხდებიან (115 შემთხვევა). ქალებს თითქმის თანაბარი სიხშირით დასცინიან/შეურაცხყოფენ გონებრივი შესაძლებლობების (57) და გარეგნული მახასიათებლების ნიშნით (56). მათ ოდნავ ჩამორჩება გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა (52). ასევე გავრცელებულია პოლიტიკოსი ქალების დაკნინება ზოგადად ქალების მიმართ სიძულვილის გამოხატვის გზით, რომელიც სექსიზმის/მიზოგინიის კატეგორიაში ხვდება (20). ყველაზე ნაკლები სიხშირით პოლიტიკოს ქალებს ასაკის ნიშნით შეურაცხყოფენ (ეიჯიზმი – 8).

პოლიტიკოს ქალებზე თავდასხმებისთვის იყენებდნენ როგორც შეურაცხმყოფელ გზავნილებს, ასევე ფოტო და ვიდეო მანიპულაციებს. ვიზუალური მანიპულაციები იხილეთ მე-4 ქვეთავში.

2.1. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა

დარღვევის კატეგორიებიდან მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა ყველაზე მსხვილი კატეგორიაა. მონიტორინგმა 115 ასეთი შემთხვევა გამოავლინა. ამ ტიპის თავდასხმების მიზანი იყო ადრესატების შერცხვენა და რეპუტაციის შელახვა მორალური კრიტერიუმების თუ ზნეობრივი ღირებულებების ნიშნით. ამ კატეგორიის თავდასხმებისთვის გამოიყენებოდა სექსუალური შინაარსის ფოტო და ვიდეო მანიპულაციები, გზავნილები, რომლებიც ქალს სექსუალურ ობიექტად წარმოაჩენდნენ, დეზინფორმაცია, შანტაჟიც კი.

მონიტორინგის პერიოდში შანტაჟის 1 შემთხვევა გამოვლინდა, რომელშიც პარტია „ლელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის ახალგაზრდული ფრთის წევრებს სახელმწიფო მოხელე მადისკრედიტირებელი ინფორმაციის გამოქვეყნებით ემუქრებოდა.[18]

მორალური კრიტერიუმებით თავდასხმებში გამოიყენებოდა სექსისტური სიძულვილის ენის ფორმა, რომელსაც slut-shaming, ანუ „სლატშეიმინგი“ ეწოდება. სლატშეიმინგი სიტყვა-სიტყვით „ბოზობით შერცხვენას“ ნიშნავს და მას იყენებდნენ ადრესატების გასაკიცხად სტერეოტიპულ წარმოდგენებთან შეუსაბამო

[18] იხილეთ „წინასაარჩევნო მონიტორინგის შუალედური ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში“. https://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2020/11/UNDP-Report-GEO-HQ.pdf

გარეგნობის, ჩაცმულობის თუ ქცევის გამო. მონიტორინგის პერიოდში სლატშეიმინგის 33 შემთხვევა გამოვლინდა, რომელთაგან 32-ის სამიზნეები ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელი ქალები იყვნენ, ხოლო ერთის ცესკო-ს თავმჯდომარე თამარ ჟვანია.

სლატშეიმინგი

„სლატშეიმინგი“ (slut-shaming) გულისხმობს ადამიანების, უმეტესად, ქალების და გოგოების კრიტიკას იმის გამო, რომ მათი ქცევა, გარეგნობა თუ ჩაცმულობა არ შეესაბამება სექსუალობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ გენდერულ ნორმებს და წარმოდგენებს. ასეთ ქცევად თუ გარეგნობად მიიჩნევა, მაგალითად, სექსუალური, პროვოკაციული ჩაცმულობა, კონტრაცეპციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა, ქორწინებამდელი სექსი ან შემთხვევითი სექსი. სლატშეიმინგი ასევე ხშირად გულისხმობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მთლიანად ან ნაწილობრივ დადანაშაულებას მისი ქცევითა თუ ჩაცმულობით ამ ძალადობის პროვოცირებაში. სლატშეიმინგი გამოიყენება ქალების შერცხვენის, სტიგმატიზების მიზნით.

პოლიტიკის სფეროში სლატშეიმინგს ქალის სექსუალურ ობიექტად წარმოსაჩენად იყენებენ. ეს მომდინარეობს იმ სტერეოტიპული და დისკრიმინაციული შეხედულებიდან, რომლის თანახმადაც პოლიტიკა ქალის საქმე არ არის, რადგან ქალს ამ სფეროში საქმიანობისთვის საჭირო უნარები აკლია და თუ ქალი მაინც არის პოლიტიკაში, ის კაცი პოლიტიკოსის „პროტეჟეა“. „პროტეჟეს“ ქვეშ კი, უმეტეს შემთხვევაში, საყვარელი იგულისხმება. ასეთი სტერეოტიპული შეხედულებების საფუძველზე შეიმუშავა „საფარმა“ სლატშეიმინგის ქართული რეალობისთვის დამახასიათებელი ინდიკატორი **„ვინმეს ქალი“**, რომელიც „კაცი პოლიტიკოსის საკუთრებად ქალი პოლიტიკოსის ნებისმიერი ფორმით მოხსენიებას“ ნიშნავს. ამ ფორმით განსაკუთრებით ხშირად „ნაციონალური მოძრაობის“ ქალ წევრებს მოიხსენიებდნენ.

„ქართული ოცნების“ და მის მხარდამჭერ ანგარიშზე **„ლიდერი 41“** გაზიარებულ პოსტში მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერებს, რომლებიც ათენში მასთან შეხვედრაზე მივიდნენ, „მიშას ქალებს“ უწოდებენ, ხოლო „მთავარი არხის მხარდამჭერთა ჯგუფში“ მომხმარებლის მიერ გაზიარებულ ცესკო-ს თავმჯდომარის თამარ ჟვანია **ფოტოს** აწერია „ბიძინას პირადი ბოზი“.

ლიდერი 41, 13 ოქტომბერი: „მიშას შეურაცხადი ქალები!“

„მთავარი არხის მხარდამჭერთა ჯგუფი“, 5 ნოემბერი: „ბიძინას პირადი ბოზი“.

მორალური კრიტერიუმებით თავდასხმები სექსუალობის კომპონენტით არ შემოიფარგლებოდა. მათი სამიზნე ასევე იყო ისეთი მორალური კრიტერიუმები და ღირებულებები, როგორებიცაა უანგარობა, ქვეყნის ერთგულება და სხვა.

„ევროპული საქართველოს“ წევრის ელენე ხოშტარიას დისკრედიტაციას მისი ქვეყნისადმი ერთგულების ეჭვქვეშ დაყენებით ცდილობდნენ. ამ თავდასხმას კამპანიური ხასიათი ჰქონდა, რომელიც მოჰყვა ხოშტარიას მიერ პროკურატურისადმი მიმართვას, გამოეძიებინა „პატრიოტთა ალიანსის“ რუსეთიდან დაფინანსების საკითხი. თავდასხმებს კონტრბრალდებების სახე ჰქონდა, რომლებიც ელენე ხოშტარიას რუსეთში მიღებულ უმაღლეს განათლებას ეხებოდა. ფეისბუკ ანგარიშებზე გამოქვეყნებული სტატუსების სავარაუდო მიზანი ხოშტარიას რუსეთისადმი კეთილგანწყობაში დადანაშაულება იყო.[19]

2.2.გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა

დარღვევის ეს კატეგორია მოიცავს დისკრიმინაციას/შეურაცხყოფას ინტელექტუალური უნარების, გამოცდილების, კომპეტენციების ნიშნით. მონიტორინგის პერიოდში ამ კატეგორიაშიც 57 დარღვევა გამოვლინდა. დაცინვის საგანი ქალი პოლიტიკოსების განათლება, გამოცდილება, ცოდნა თუ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები იყო. მათ მიმართ იყენებენ ისეთ შეურაცხმყოფელ სიტყვებს, როგორებიცაა შტერი, იდიოტი, ოროსანი, დებილი, ჩლუნგი, გაუნათლებელი.

ადრესატებს შორის ოპოზიციური ფლანგის ქალი პოლიტიკოსები ჭარბობდნენ; შეურაცხყოფას აყენებდნენ სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას. ყველაზე ხშირი სამიზნე კი „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი ნანუკა ჟორჟოლიანი იყო (18 შემთხვევა). ნანუკა ჟორჟოლიანზე თავდასხმები, მათ შორის ამ ტიპის შეურაცხყოფა, გახშირდა მას შემდეგ, რაც ის „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მაჟორიტარობის კანდიდატად დაასახელა.

ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემის წამყვანმა გია აბაშიძემ ერთდროულად სამ, ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ანგარიშზე გააზიარა პროპაგანდისტულ გვერდზე **POSTV-ანალიტიკაზე** გამოქვეყნებული ვიდეო, რომელშიც ნანუკა ჟორჟოლიანს შეურაცხყოფას აყენებენ გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით. პოსტს აქვს მინაწერი: „ჩლუნგი ნანული“.[20]

19 ეს კამპანია სრულად არის აღწერილი ანგარიშში „წინასაარჩევნო მონიტორინგის შუალედური ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში“. https://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2020/11/UNDP-Report-GEO-HQ.pdf

20 https://www.facebook.com/groups/134290193315393/permalink/3557843604293351; https://www.facebook.com/groups/439518096893849/permalink/812683526243969; https://www.facebook.com/groups/439518096893849/permalink/812683526243969

ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელმა ჯგუფმა „ერთიანი ნაციონალური დვიჟენია“ თინა ბოკუჩავას სატელევიზიო კომენტარის გამო დასცინა, ხოლო ჯგუფში „დავასრულოთ ნაცები!!! – სიმართლის გზა“ გაზიარებულ სტატუსში დაცინვის საგანი ხატია დეკანოიძის კომპეტენციები იყო.



ერთიანი ნაციონალური დვიჟენია,
14 სექტემბერი: „აუუ, თიიიიკ.. ცუეტში მართალს ბაზრობ... შენ თავსცავარ“

სოფო სოფო, დავასრულოთ ნაცები!!!
– „სიმართლის გზა“, 26 აგვისტო: ხატია, არც გააშრიალო რა მომინდომა ბიძინას, დამარცხება გოგოს.“

მიღებული განათლების გამო ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე დაცინვის ობიექტი გახდა. ხელისუფლების მადისკრედიტირებელმა ფეისბუკ გვერდმა **„მთავარი ამბები, აქტუალური თემები, საინტერესო მოვლენები და ფაქტები!“** გააზიარა ფოტო, რომელზეც გიორგი გახარიასა და ბიძინა ივანიშვილთან ერთად ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძეა გამოსახული. ტიკარაძეს აწერია „ტრიკოტაჟა“. ნოემბრის ბოლოს მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტიკარაძის მიერ დამთავრებული კერძო სამედიცინო ინსტიტუტი ყოფილი ტრიკოტაჟის ფაბრიკაში მდებარეობდა.[21]

[21] http://newpost.ge/?newsid=247048

ხელისუფლების მადისკრედიტირებელ კიდევ ერთ ჯგუფში Live Georgia გაზიარებულ ინდივიდუალური ანგარიშის **პოსტში** კი ჯანდაცვის მინისტრის კომპეტენციას აყენებდნენ ეჭვქვეშ.

Live Georgia, 12 ნოემბერი: „ჩუჩელა აგაროდნაია, იმ ქვეყანაში, სადაც ამის იმედადაა კორონავირუსის პრევენცია, დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს ვირუსი უკვე დიდად გავრცელებულია და წლის ბოლომდე დედა აღარ გვეყოლება... და დიდი ეჭვი მაქვს, რომ ხელისუფლებას აწყობს ეს ამბავი!“

ეს შემთხვევა გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფის/დაცინვის კატეგორიაშიც აისახა: ეკატერინე ტიკარაძეს, რომელსაც თმები აქვს ქარისგან აწეწილი, საფრთხობელას (რუსულად) უწოდებენ.

ხელისუფლების წარმომადგენლებიდან გონებრივი ნიშნით დაცინვის ყველაზე ხშირი სამიზნე პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი იყო (8). საანგარიშო პერიოდში დეზინფორმაციის გზით, კერძოდ, გაყალბებული ციტატებით სალომე ზურაბიშვილის ინტელექტუალური უნარების დაცინვის 2 შემთხვევა გამოვლინდა.

13 ნოემბერს ხელისუფლების მადისკრედიტირებელმა ფეისბუკ გვერდმა „ყოველდღიური მოვლენები“ გააზიარა სქრინი, რომელზეც სალომე ზურაბიშვილის ფოტოს ახლავს ციტატა: „მინდა მიულოცო წარმატებული თამაში საქართველოს ვიბრძოლეთ მაგრამ სამწუხაროდ წავაგეთ არაუშავსრ. სალომე ზურაბიშვილი:“ პოსტს თან ახლავს გვერდის მიერ გაკეთებული კომენტარი „ეს უკვე არაადექვატურია“.

ეს პოსტი ჩრდილოეთ მაკედონიის საფეხბურთო გუნდთან მატჩში საქართველოს გუნდის დამარცხების მეორე დღეს გამოქვეყნდა. არცერთი წყაროთი არ დასტურდება, რომ ეს ციტატა სალომე ზურაბიშვილს ეკუთვნის. ამ ციტატის სიყალბე თვითონ სალომე ზურაბიშვილმაც დაადასტურა. მან ოფიციალურ ფეისბუკ გვერდზე მომხმარებელ Nina Ninka-ს იდენტური პოსტის სქრინშოტი წარწერით "FAKE" **გამოაქვეყნა**.

მომხარებელ **Nina Ninka**-ს გვერდზე აღნიშნული პოსტი აღარ იძებნება.

2.3. გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა/დაცინვა

საანგარიშო პერიოდში გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფის 56 შემთხვევა გამოვლინდა. გარეგნული მახასიათებლების ნიშნით თავდასხმების არცთუ მცირე რაოდენობა შეიძლება აიხსნას სტერეოტიპული შეხედულებით, რომ ქალის უმთავრესი ღირსება მისი გარეგნობაა და შესაბამისად, ქალს ეს ყველაზე მეტად აღელვებს. ქალებს დასცინოდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ ცალკეული ნაკვთების, სხეულის წონის, საუბრის მანერის, ჩაცმულობის, გემოვნების თუ ჰიგიენის ნიადაგზე. ამ კატეგორიას შეესაბამება „საფარის" მიერ შემუშავებულ სექსისტური სიძულვილის ენის ინდიკატორები „სხეულის ნიადაგზე შერცხვენა" და „ემოციური საუბარი".

გარეგნული მახასიათებლების ნიშნით ქალების მიმართ სიძულვილს გამოხატავდნენ ისეთი ფოტოების გამოქვეყნებით, რომლებზეც ქალები გაავებული სახის გამომეტყველებით არიან წარმოჩენილი. ჟურნალისტმა გელა ზედელაშვილმა სწორედ ასეთ **ფოტოკოლაჟი** გამოაქვეყნა საკუთარ პროფილზე.

„ევროპული საქართველოს“ წევრებს ირმა ნადირაშვილს და ხათუნა გოგორიშვილს, ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს მეგი გოცირიძეს „მახინჯებს“ უწოდებენ ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ფეისბუკ ჯგუფში „დავასრულოთ ნაცები!!! – „სიმართლის გზა“ გაზიარებულ **სტატუსში.** ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ **ჯგუფში** „მიშა პრემიერად!“[22] იუსტიციის ყოფილი მინისტრის თეა წულუკიანის გარეგნობას დასცინიან.





დავასრულოთ ნაცები!!! – „სიმართლის გზა“, 19 აგვისტო: „შხუილ, ირმა ნადირაშვილი, მეგი გოცირიძე, ხათუნა გოგორიშვილი, რომ გუნდში გყავს ასეთი მახინჯები მხოლოდ შენ გეყოლება შხუილიკო..)))“.

მიშა პრემიერად!, 20 ნოემბერი: „ქოცებში ისეთი კორონა მძვინვარებს თურმე თეა წულუკიანი ლამაზად ეჩვენებათ!“

[22] ამ ჯგუფმა შეიცვალა სახელი და ახლა ეწოდება ❤მიშასGEU❤მხარდამჭერები❤

დაცინვის საგნად არის ქცეული ჩაცმულობა და საუბრის მანერა: ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ჯგუფში დავასრულოთ ნაცები!!! – „სიმართლის გზა“ გაზიარებული **ფოტოთი** „ევროპული საქართველოს“ საარჩევნო კამპანიის აქტიური მონაწილის თამარ ჩერგოლეიშვილის ჩაცმულობის ელემენტს დასცინიან, ხოლო „ევროპული საქართველოს“ წევრს ხათუნა გოგორიშვილს პროპაგანდისტული ანგარიში **„მარშალპრესი“** ემოციური საუბრის გამო დასცინის.

სოფო სოფო, დავასრულოთ ნაცები!!! – „სიმართლის გზა“ 8 სექტემბერი: „ახ ჩერგო, ჩერგო, სირცხვილია...“

Marshalpress.ge, 13 ნოემბერი: „ხათუნა გოგორიშვილი წივილ-კივილით ცესკოში მივარდა და შენობას არ ტოვებს“.

ვარცხნილობა ასევე იქცა დაცინვის მიზეზად. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა **ანი წითლიძემ** საკუთარ ფეისბუკ გვერდზე ჯანდაცვის მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე ვარცხნილობაზე ზრუნვის გამო გააკრიტიკა.



მონიტორინგის პერიოდში ასევე გამოვლინდა **პოზიტიური სექსიზმის** შემთხვევებიც.

პოზიტიური სექსიზმი გულისხმობს ნებისმიერ ისეთ შეფასებას თუ კომპლიმენტს, რომელიც შემფასებლის სუბიექტური ხედვით პოზიტიურია, მაგრამ სინამდვილეში დისკრიმინაციულია და გენდერულ თანასწორობას აზიანებს.

მონიტორინგის პერიოდში პოზიტიური სექსიზმის სულ 2 მაგალითი გამოვლინდა. ერთში „ლეიბორისტული პარტიის“ კანდიდატების წარდგენისას დეპუტატობის ქალი კანდიდატების სილამაზეს გაესვა ხაზი და არა მათ სხვა ღირსებებს – უნარებს, გამოცდილებას თუ ცოდნას, და ეს მაგალითი გარეგნული ნიშნით შეურაცხყოფის კატეგორიაში მოხვდა; მეორე კი (რომელიც „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერს ირმა ინაშვილს ეხებოდა) გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვის კატეგორიას მიეკუთვნება და მასში საქმეზე ორიენტირებულობა ქალის იშვიათ თვისებად არის გამოყვანილი. ეს მაგალითები განხილულია მონიტორინგის შუალედურ ანგარიშში. სექსიზმის ეს ფორმა შეესაბამება „საფარის“ მიერ შემუშავებულ ინდიკატორს „პოზიტიური სექსიზმი/ყალბი კომპლიმენტები“.[23]

2.4. გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა

გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა დარღვევის სიდიდით მეოთხე კატეგორიაა. მონიტორინგის პერიოდში (4 აგვისტო – 4 ნოემბერი) ამ ტიპის 52 შემთხვევა გამოვლინდა. ეს კატეგორია აერთიანებს სექსიზმის ყველა იმ ფორმას, რომელსაც გენდერული სტერეოტიპები ქალის ფუნქციის, როლების, ქცევის, მოვალეობის თუ პროფესიების შესახებ კვებავს. გამოვლენილი შემთხვევების სიმრავლე კი იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ღრმად არის კვლავ საზოგადოებაში ასეთი სტერეოტიპული წარმოდგენები გამჯდარი.

ქალ პოლიტიკოსებს ძალიან ხშირად სტერეოტიპულად „არაქალური“ ქცევის გამო კიცხავენ. ამ ტიპის თავდასხმების ხშირი სამიზნეა „ევროპული საქართველოს“ წევრი ელენე ხოშტარია, რომელსაც ხშირად „ქალბიჭას“ და „შვიშტოკას“ ეძახიან, რადგან ის საპროტესტო აქციებზე პროტესტს ხშირად სასტვენში ჩაბერვით გამოხატავს.

> **მაია ნიკოლეიშვილი, „მარშალ პრესი“, 1 ნოემბერი:** „გული მტკივა, ჩემს ვაკეში, ოდესღაც განათლებულ, ინტელიგენტურ, კულტურულ ვაკეში, ქუჩაში „სვისტოკით“ მორბენალმა ქალმა 30 პროცენტი როგორ მიიღო?!“

ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ჯგუფში „სიმართლის გზა“ გაზიარებულ **სტატუსში** „ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ხატია დეკანოიძეს და „ევროპული საქართველოს“ საარჩევნო კამპანიის აქტიურ მონაწილეს თამარ ჩერგოლეიშვილის ჯდომის მანერის გამო აკრიტიკებენ და „ძველ ბიჭებს“ უწოდებენ.

[23] „წინასაარჩევნო მონიტორინგის შუალედური ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში“, გვ. 44 და გვ. 37. https://genderbarometer.ge/wp-content/uploads/2020/11/UNDP-Report-GEO-HQ.pdf

სოფო სოფო, „სიმართლის გზა“, 1 ოქტომბერი: „ამ ორ ქაჯს უყურებ ორივე ჩაცუცქულები... ესენი რომ სხვაზე იტყვიან ძველი ბიჭები ვაი თქვენს პატრონს უბედურს...“

დარღვევების ამ კატეგორიაში გვხვდებოდა შემთხვევები, რომლებშიც ქალი პოლიტიკოსების ქმრებს ახსენებდნენ და ცდილობდნენ ქალების გაკიცხვას თუ დაცინვას ოჯახში ქალის ადგილზე მითითებით და კაცის და ქალის გენდერულ როლებზე პატრიარქალური წარმოდგენების ნიადაგზე.

„ქართული ოცნების“ მხარდამჭერ ფეისბუკ გვერდზე „პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია“ მომხმარებელს გაზიარებული აქვს **ვიდეო**, რომელშიც თაკო ჩარკვიანი ჟურნალისტს ეუბნება, რომ პარლამენტის მანდატზე უარს ამბობს და კომენტარს ასრულებს ბიძინა ივანიშვილისადმი მიმართული შემდეგი სიტყვებით: „ფეხებზე მკიდია, შე რუსო ოლიგარქო, შენი დეპუტატობა, აგერია ეტყობა ოჯახი ჩემი ძალიან“. ვიდეოზე მიწერილ სტატუსში მომხმარებელი ეჭვის ქვეშ აყენებს თაკო ჩარკვიანის ოჯახის პატიოსნებას მისი ქმრის შესახებ სექსუალური შინაარსის მქონე კომენტარით.

Lela Mikeladze-Beriashvili, პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, 3 ნოემბერი: „უპატიოსნესი ოჯახი აქვს. ეხლა ვხვდები ჯონი გიგანი თაკო ჩარკვიანის ქმარი მთელი ცხოვრება რატომ დადის პუტანკებში 😊😊😊“

ზემოაღნიშნული შემთხვევა შეესაბამება „საფარის“ მიერ ქართული რეალობისთვის შემუშავებულ სექსისტური სიძულვილის ენის ფორმას „სიძულვილის ვარიაციები ჰეტერონორმატიული ოჯახის გამოყენებით.“

2.5. სექსიზმი/მიზოგინია

წინასაარჩევნო პერიოდში გაძლიერდა ანტილიბერალური დისკურსი გენდერული თანასწორობის წინააღმდეგ და გამოიკვეთა იმ კანონმდებლობის კრიტიკის ტენდენცია, რომელიც ხელს უწყობს გენდერული დისკრიმინაციის და უთანასწორობის აღმოფხვრას, ქალთა უფლებების, მათ შორის პოლიტიკური უფლებების დაცვას და გაძლიერებას. მონიტორინგის პერიოდში ასეთი დარღვევის 20 შემთხვევა აღინიშნა და ისინი სექსიზმის/მიზოგინიის კატეგორიაში გაერთიანდა. ამ თემის წინასაარჩევნოდ გააქტიურებას ულტრანაციონალისტური, ანტილიბერალური და პრორუსული განწყობების მქონე მედია და ცალკეული აქტორები ცდილობდნენ. გენდერული თანასწორობის ხელშემწყობ კანონმდებლობას დასავლეთის მიერ თავსმოხვეულ და ლიბერალური სისტემის შედეგად მიღებულ მოვლენად წარმოაჩენდნენ.

„მიზოგინია" ქალების მიმართ სიძულვილს აღნიშნავს და გულისხმობს ქალის პოლიტიკური რაციონალურობის დაბალ შეფასებას, ქალის არასრულფასოვან არსებად და მხოლოდ სექსუალურ სუბიექტად წარმოჩენას, ქალის, როგორც საშიში ქმნილების დახატვას.

„სექსიზმი" სოციალური წესრიგის იმ სისტემურ და სტრუქტურულ თავისებურებას აღნიშნავს, რომელიც საფუძვლად უდევს მამაკაცების მიერ ქალების ჩაგვრას, ადამიანის დისკრიმინაციას ან მის წინასწარგანწყობით შეფასებას მისი სქესის საფუძველზე. სექსიზმი შეიძლება გამოიხატებოდეს ქალის, როგორც ფიზიკურად ან მენტალურად მამაკაცზე ნაკლებად ღირებულის ან უნარიანის შეფასებაში, ქალის მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებაში საზოგადო თუ პირად სფეროში, ქალის გამორიცხვაში საქმიანობის გარკვეული სფეროებიდან, სხვა. სექსიზმის მნიშვნელოვანი წყაროა გენდერული როლების შესახებ ტრადიციული სტერეოტიპები.

კრიტიკის სამიზნე იყოს კვოტირების შესახებ საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც პარლამენტმა 2020 წლის 2 ივლისს შეიტანა საარჩევნო კოდექსში. ამ ცვლილების თანახმად, 2028 წლამდე ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი კანდიდატი მაინც განსხვავებული სქესის წარმომადგენელი უნდა იყოს, ხოლო 2028 წლის 28 ოქტომბერს და მის შემდგომ, 2032 წლამდე, ჩასატარებელ საპარლამენტო არჩევნებში პარტიული სიის ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია რეგისტრაციაში არ გატარდება.[24]

ასევე აკრიტიკებდნენ 2020 წლის 13 ივლისს პარლამენტის მიერ მიღებულ ცვლილებებს კანონში „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ". ამ ცვლილებებით გაფართოვდა ოჯახის წევრის განსაზღვრა და დაემატა ახალი მუხლი მოძალადის მიმართ ელექტრონული ზედამხედველობის დაწესების და განხორციელების შესახებ, რომლის მიზანიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მოძალადისგან უკეთ დაცვაა.[25]

[24] საარჩევნო კოდექსი, თავი XX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი, მუხლი 203. 2032 წლის ჩათვლით ჩასატარებელი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისა და 2028 წლამდე ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის პარტიული სიების წარდგენის ზოგიერთი დროებითი წესი.
https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=65

[25] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923612?publication=0

დარღვევის ამ კატეგორიაში ასევე გამოვლინდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის დაცვის კანონმდებლობის წინააღმდეგ გალაშქრების შემთხვევა.

2.6. ეიჯიზმი

საანგარიშო პერიოდში ეიჯიზმის 8 შემთხვევა გამოვლინდა. რვავე შემთხვევის ადრესატები ოპოზიციის წარმომადგენლები იყვნენ.

ეიჯიზმი ადამიანების ასაკის მიხედვით დისკრიმინაციას, სტერეოტიპიზაციას და მარგინალიზაციას გულისხმობს. ამ ტიპის დისკრიმინაცია მოიცავს ყველა ასაკობრივ ჯგუფს, თუმცა უფრო ხშირად ასაკოვან ადამიანებთან დამოკიდებულებას ეხება.

ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელმა ფეისბუკ გვერდმა **„ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტომ“** ნინო ბურჯანაძის ასაკს გაუსვა ხაზი.

„ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო“, 10 ნოემბერი: „ნინო ბურჯანაძის წინასაარჩევნო კამპანია. თბილისი, 2040 წ.“

ასაკის ნიშნით დისკრიმინაციული იყო ანტილიბერალურ ჯგუფებთან დაკავშირებული გვერდის **„ალტ-ინფოს“** მიერ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ოცეულის კანდიდატ ახალგაზრდა ქალების „გოგოებად“ მოხსენიება.

ალტ-ინფო, 11 სექტემბერი, გიორგი ქარდავა: „აი, ეხლა ეს გოგონები, ეს ქალბატონები საერთოდ ვინ არიან ესენი, რა უნარ-ჩვევებით არიან დაჯილდოებულები, ან რა პოლიტიკურ ბაგაჟს ფლობენ?.. რა კრიტერიუმებით ირჩევენ?“

3. კამპანიური ხასიათის თავდასხმები ქალ პოლიტიკოსებზე

მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა 3 კოორდინირებული კამპანია პოლიტიკოსების წინააღმდეგ. კამპანია ეკა ბესელიას წინააღმდეგ გენდერული ნიშნით მიმდინარეობდა და ეხებოდა ოპოზიციის შეხვედრაზე მასსა და „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერ შალვა ნათელაშვილს შორის კერძო საუბარს, რომელსაც სოციალურ ქსელში „ფლირტის“ ინტერპრეტაცია მიეცა და ვიზუალური მანიპულაციების ტალღა მოჰყვა. ეს კამპანია, რომელმაც მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვის, კერძოდ კი, „სლატ-შეიმინგის“ ფორმა მიიღო, აღწერილია მონიტორინგის შუალედურ ანგარიშში.[26] ორი კამპანია კი ევროპული საქართველოს ლიდერის ელენე ხოშტარიას პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდა და ეხებოდა:

1. ხოშტარიას მიმართვას პროკურატურისადმი, გამოეძიებინა რუსეთიდან „პატრიოტთა ალიანსის“ შესაძლო დაფინანსების საკითხი, რასაც ხოშტარიას მიმართ კონტრბრალდებები მოჰყვა (ეს კამპანია დეტალურად მონიტორინგის შუალედურ ანგარიშშია აღწერილი).[27]
2. საპროტესტო აქციას, რომელიც აბაშიძე-კარასინის ფორმატში გამართული საუბრის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებით გაიმართა.

3.1 კამპანია ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ

ელენე ხოშტარიას მონაწილეობამ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებასთან დაკავშირებულ საპროტესტო აქციაში მის წინააღმდეგ კამპანიის აგორებას მისცა ბიძგი.

დეზინფორმაციის გზით დისკრედიტაციის ეს კამპანია 30 ნოემბერს მანიპულირებული ფოტოს გავრცელებით დაიწყო.

ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელმა ფეისბუკ გვერდებმა **სექტა, მეხუთე რეიხი, რეალობა, მიხეილ უკრაინოლოგი და ანტილიბერალური დოქტრინა** და ინდივიდუალურმა ანგარიშებმა **გაბრიელ კამაევი, Oboladze Gia, Mindo Mandela** და **Nino Labartkava** გაავრცელეს იდენტური ფოტო, რომლის მიხედვითაც ელენე ხოშტარია თითქოს პოლიციელს სახეში პულვერიზატორით საღებავს ასხამს. ამ ფოტოების გარდა, იმავე შინაარსის 5-წამიანი ვიდეო გაავრცელა ფეისბუკ გვერდმა **Political Sarcasm**.

[26] იხილეთ „წინასაარჩევნო მონიტორინგის შუალედური ანგარიში: „სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში“, გვ. 51.

[27] იხილეთ „წინასაარჩევნო მონიტორინგის შუალედური ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში“, გვ. 58.



სინამდვილეში, ხოშტარია კედელზე პულვერიზატორით წარწერის გაკეთებას ცდილობდა, რაშიც მას პოლიციელები უშლიდნენ ხელს. მას პულვერიზატორი კედლისკენ ჰქონდა მიმართული და არა პოლიციელის სახისკენ.



კადრი, რომელიც შემდეგ ფოტომანიპულაციის სახით გავრცელდა, აღებულია ვიდეომასალიდან, რომელშიც ასახულია 28 ნოემბერს გამართული აქცია, რომელზეც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ **განცხადებას** აპროტესტებდნენ.

პოსტების შინაარსი, გაზიარების სიხშირე და დროის მონაკვეთი, გავრცელების ორგანიზებულ, კამპანიურ ხასიათზე მეტყველებს.

შინაარსი

ფეისბუქ ანგარიში	გზავნილი	ტერმინი
გასამართლდეს ნაციონალური მოძრაობა!	ხოშტარიამ პოლიციელს, სახეში მიბჯენით, რაღაც სითხე შეასხა! საინტერესოა დაისჯება თუ არა „კრიმინალი ქალბატონი“? ვხედავთ, რომ პოლიციელებზე თავდასხმა, ნაცსექტანტების მიერ, სისტემატიურ სახეს ღებულობს. ისინი, გამარჯვებულის პოზიციიდან იყურებიან და უშვერი სიტყვებით „აგინებენ“, ჩემი ქვეყნის, მოქალაქეების საუკეთესო ნაწილს! სანამდე უნდა ვუყუროთ ნაცდამნაშავეების უმსგავსო ქმედებებს?	კრიმინალი ქალბატონი
კახა კალაძე თბილისის მერი	ამ კადრის მერე არა თუ პოლიტიკაში, საკუთარ შვილებთან ხარ საშიში!!! ასეთი რა ჯანდაბით ხართ მოწამლული, რატომ გძულთ სამშობლო და ადამიანები!!! ან მეტი ტვინი არც გაქვთ ეტყობა – მგიმოში უკეთესს რას გასწავლიდნენ!!!	მოწამლული, მეტი ტვინი არც გაქვთ, მგიმოში უკეთესს რას გასწავლიდნენ!!!
სიმართლის გზა	უკაცრავად, მაგრამ ჩვენ რომ ქვეყანა ვიყოთ ნაც, ჯალათები!!! ციხეში უნდა, ეყაროს და ახლა ხოშტარია, უნდა იყოს დაპატიმრებული ეს გიმოს, ნასედკა ეს გავრილოვის, მონა ჰიმნი უმღერა გავრილოვს, ამ შვისტოკამ ეს არა ქალი, ნაძირალა ქალბიჭა, ჯალათი, ხარ ხოშტარია, შხუილას, მონა...	გიმოს ნასედკა; გავრილოვის მონა; შვისტოკა; არაქალი; ნაძირალა; ქალბიჭა; ჯალათი; შხუილას მონა
ანტილიბერალური დოქტრინა	ჰელენ ხოშტარია პატრულის ოფიცერს საღებავს ასხამს სახეში	
გაბრიელი კაბაევი	ხოშტარია შე ნაგავო! აი ასე ექცევა „მშვიდობიანი“ მომიტინგე სამართალდამცავს!!!!	ნაგავი, „მშვიდობიანი“ მომიტინგე
OBOLADZE GIA	გველი მამის, ზვიადის გადამგდების გოგი ხოშტარიას შვილი ელენე ხოშტარია, რომელმაც მიუხედავათ იმისა რომ მთელი ოპოზიცია მხარს უჭერდა, პირწმინდათ წააგო ვაკე. ეხლა ჯავრს იყრის პოლიციაზე, და მისი ქმრის მილიონებით ბავშვები აყარა დაარბენინებს აქციებზე და პოლიციას სპრეის ასხამს თვალებში	გველი მამის, ზვიადის გადამგდების გოგი ხოშტარიას შვილი
OBOLADZE GIA	დედამიწაზე სადმე გინახავთ, პარლამენტარი ესე იქცეოდეს? ხოშტარია ციხეში	ხოშტარია ციხეში
MINDO MANDELA	დააკავეთ ეს წაკლა რუსების აგენტი მილიონერი ხოშტარია!! როგორ გაბედა აღემართა ხელი რუსეთის აგენტს, ქართველი პოლიციელისთვის??? ხოშტარია ციხეში!!!	წაკლა, რუსების აგენტი მილიონერი ხოშტარია, რუსეთის აგენტი, ხოშტარია ციხეში!!

ფეისბუკ ანგარიში	გზავნილი	ტერმინი
რეალოგა	და ის კიდე პარლამენტარს და პოლიტიკოს ეძახის თავს?	
სექტა	ნაბი*ვარი ხოშტარია, პირდაპირ სახეში ასხავს პატრულის თანამშრომელს კრასკას.	ნაბიჭვარი
POLITICAL SARCASM	სახეში ასხამს სამართალ დამცველს საღებავს ეს გარეწარი ქალი! აი ეს არის მათი რეალური სახე!	გარეწარი
მიხეილ უკრაინოლოგი	ნამეტანი ხომ არ მოგდით ქალბატონო ელენე?	ქალბატონი
NINO LABARTKAVA	ამ ამ ყლექალას პასუხი აგებინეთ ახლა და მართლა თავზე ნუ გადااااჯ-მევინეთ ამათ! ჩემმა მეზობელმა რამაზამ რო ასე მიასხას პულივიზატორი სახეში პოლიციელს, ჯარიმითაც ვერ გამოძვრება და ხოშტარია ვინ ჩემი ფეხებია? მოსთხოვეთ პასუხი! ყელშია უკვე!!!	ყლექალა

გაზიარების დრო

ფეისბუკ ანგარიშებმა ფოტომანიპულაცია ორგანიზებულად, 30 ნოემბერს 17:00-დან 17:30-მდე დროის შუალედში გამოაქვეყნეს, ხოლო პოსტები საჯარო ფეისბუკ ჯგუფებში ძირითადად 19:10-დან 19:45 საათამდე გააზიარეს.[28]

გაზიარების სიხშირე და ინტერაქცია

1 დეკემბრის მდგომარეობით, „სექტას“ პოსტს 440 რეაქცია, 184 კომენტარი და 92 გაზიარება ჰქონდა, „მეხუთე რეიხის“ პოსტს კი 46 რეაქცია და 23 კომენტარი.



„რეალობას“ პოსტს 39, ხოლო“ მიხეილ უკრაინოლოგის“ პოსტს 34 გაზიარება ჰქონდა. პოსტების კომენტარების უმეტესობა ელენე ხოშტარიას მიმართ აგრესიული და შეურაცხმყოფელი იყო.

28 https://mythdetector.ge/ka/myth/dezinpormatsia-titkos-elene-khoshtaria-politsiels-saghebavs-askhams-organizebulad-gavrtseld a?fbclid=IwAR0zu6X5WvuJ0Gm7fOnrOMrEDWsWqN1AZG8PtIQlwrrMjiTyPvAqzrxr8K0

Political Sarcasm-ის 5-წამიან ვიდეოს 2400 ნახვა და 19 გაზიარება ჰქონდა, ხოლო „ანტილიბერალური დოქტრინის“ პოსტს 14.

Oboladze Gia-მ, რომელიც პლატფორმა „ვინ ვინ არის“ მიერ სახელისუფლებო ტროლადაა მონიშნული, საკუთარი პოსტი გზავნილით „ხოშტარია ციხეში“ 8 საჯარო ჯგუფში გააზიარა.



Oboladze Gia-ს მეორე პოსტს კი 80 გაზიარება ჰქონდა. რაც შეეხება სხვა ინდივიდუალურ ანგარიშებს, გაბრიელ კამაევის პოსტს 87 გაზიარება, Nino Labartkava-ს პოსტს 13 გაზიარება, ხოლო Mindo Mandela-ს პოსტს 29 გაზიარება ჰქონდა.



გარდა ამისა, Mindo Mandela-მ საკუთარი პოსტი 3 საჯარო ჯგუფში გააზიარა.

ფაქტების გადამოწმების პლატფორმამ „მითების დეტექტორმა“ ფეისბუკთან Third party Fact-Checking program-ის ფარგლებში ეს ინფორმაცია ფეისბუკზე ყალბად მონიშნა.



3.2. გენდერული როლების შეცვლა დისკრედიტაციის მიზნით

21 ნოემბერს ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელმა გვერდმა „შუბლის ძარღვ გაწყვეტილები“ გამოაქვეყნა **ვიდეომანიპულაცია,** რომელშიც ოპოზიციის წარმომადგენლები ცხოველების ვიზუალით არიან წარმოდგენილი. გამონაკლისი იყო ნაციონალური მოძრაობის ორი წევრი – ნიკა მელია და თინა ბოკუჩავა, რომელთა დისკრედიტაცია გენდერული ნიშნით ხდებოდა. ნიკა მელია ქალად, ხოლო თინა ბოკუჩავა კაცად იყო წარმოდგენილი. გენდერული როლები ვიდეოში ოპოზიციის წევრების დისკრედიტაციის მიზნით იყო შეცვლილი. თინა ბოკუჩავას შემთხვევაში დამატებით ჰომოფობიური კონტექსტიც გამოვლინდა, რადგან ის 2014 წლის ევროვიზიის სიმღერის კონკურსის გამარჯვებულს, ავსტრიელ მომღერალს კონჩიტა ვურსტს იყო მიმსგავსებული.

ვიდეო, რომელსაც 25 ნოემბრის მონაცემებით 75 ათასი ნახვა და 1200 მოწონება აქვს, დასათაურებული იყო შემდეგი სიტყვებით: „ქართული პოლიტიკა სპეცეფექტებით“.



კონჩიტა ვურსტი

ფეისბუკის რეკლამების ბიბლიოთეკის **მონაცემებით,** ეს ვიდეო დაფინანსებულია და მასზე 100 დოლარამდეა დახარჯული, ხოლო რეკლამის თანხა გიორგი კვარაცხელიას მიერ არის გადახდილი.





„შუბლის ძარღვ გაწყვეტილების“ ვიდეო „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ საჯარო ჯგუფში **41-კვლავ ხალხის სამსახურში** „მაჩე მაჩემ“ გააზიარა, ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელმა გვერდმა **„ტერენტი გლდანელი“** კი ის გაავრცელა სტატუსით „ზოოპარკი“.

„ტერენტი გლდანელის“ გვერდიდან ეს ვიდეო ფეისბუკ გვერდმა **Miha Hamodi** და ფეისბუკ პროფილმა „მაჩე მაჩემ“ საჯარო ჯგუფში **სიმართლის გზა** გააზიარეს.



იმავე დღეს, 1-საათიანი ინტერვალით, ეს ვიდეო გაავრცელეს ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელმა გვერდებმა **„სექტამ“,** სტატუსით: „ჩვენი გარეული ცხოველები“ და **„მეხუთე რაიხმა“**, სტატუსით: „ცხოველთა სამყარო.“

მეხუთე რაიხის ვიდეო **Nika Kvirikashvili**-მა საჯარო ჯგუფში **41-კვლავ ხალხის სამსახურში, ხოლო თამარ მიქელაძემ ჯგუფში „სიმართლის გზა“** გააზიარეს.



4. ვიზუალური მანიპულაცია

ქალი პოლიტიკოსების მიმართ სექსიზმის და გენდერული სტერეოტიპიზაციის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმად ფოტო და ვიდეომანიპულაცია გამოიყენებოდა. ფოტომანიპულაციების დიაპაზონი იუმორისტული ფოტოკოლაჟებიდან უხამს შარჟებამდე მერყეობდა. ვიდეომანიპულაციები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ვიდეომასალიდან აღებული კადრებით დამონტაჟებული ვიდეოებით თუ რეალური ვიდეოებზე დადებული გახმოვანებით. ეს ვიზუალური მასალაც ქალების დაცინვას, შეურაცხყოფას და გაკიცხვას ისახავდა მიზნად.

მორალური კრიტერიუმებით შერცხვენისთვის ფოტო მასალის გამოყენება. „პატრიოტთა ალიანსთან" დაკავშირებული გვერდი **„პოლიტიკური სარკაზმის"** ფოტომანიპულაციაში თინა ბოკუჩავას სახე ჩასმულია ახალგაზრდა ქალი სახის ნაცვლად, რომლიც შიშველი საჯდომით ზის XEROX აპარატზე ოფისის სივრცეში. ეს პოსტი დღეს წაშლილია.



უხამსი შარჟი. ფოტოშოპით დამუშავებული უხამსი შარჟი, რომელშიც პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი, პარლამენტარი სოფო კილაძე, და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი სხედან ანტიკვარული ნივთებით მორთულ ოთახში, ხოლო გია ვოლსკის და თეიმურაზ გორჯესტანს შემოაქვთ ფალოსის ქანდაკება. ეს ფოტო ხელისუფლების მადისკრედიტირებელმა გვერ-დმა **„ქოცების დასაცინმა ოფიციალურმა სააგენტომ“** გაავრცელა.

ფოტომანიპულაციები. ხელისუფლების მადისკრედიტირებელმა ანგარიშზე **„ნაცების დასაცინი ოფიციალური სააგენტო“** გამოქვეყნდა „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის ნატო ჩხეიძის ფოტოშოპით დამუშავებული პლაკატი. პლაკატზე გაშარჟებულია ნატო ჩხეიძის სიტყვები, რომლითაც მან საპროტესტო აქციის მონაწილეებს მიმართა.



ნინო ბურჯანაძის გამოცდილებას ფეისბუკ ჯგუფში „რუსთავი 21 / RUSTAVI 21“ გაზიარებული **ფოტომანიპულაციით** დასცინეს.

ხელისუფლების მადისკრედიტირებელმა ანგარიშმა **„ექვთიმე ბიძინაშვილი“** ატვირთა მონიკა ბელუჩის კადრი ფილმიდან „მალენა“, რომელშიც „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერის ირმა ინაშვილის სახეა ჩასმულია, მინაწერით „მოდი აქاااااااا“.



ხელისუფლების ოპონენტების მადისკრედიტირებელ ჯგუფში „სიმართლის გზა“ გაზიარებულ ფოტომანიპულაციას თაკო ჩარკვიანის მიმართ შეურაცხმყოფელი, სექსუალური შინაარსის მინაწერი ჰქონდა.

„კანონი და სამართლის“ დამფუძნებელი თაკო ჩარკვიანი ფოტომანიპულაციების ხშირი სამიზნე იყო.

ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლის დროს თაკო ჩარკვიანი ხელებით ჟესტიკულაციას ფოტომანიპულაციები და შარჟები მიუძღვნეს.

ეკა ბესელიას მისამართით 3 და 4 ნოემბერს აქტიურად მიმდინარე სლატშეიმინგის კამპანია[29] მოგვიანებითაც მსგავსი შინაარსის ფოტომანიპულაციებით გაიხსენეს.

პოპულარული იყო ფოტომანიპულაციებზე გამოსახულ პოლიტიკოსებზე რქების მიხატვა.



[29] იხილეთ „წინასაარჩევნო მონიტორინგის შუალედური ანგარიში: სექსიზმი და გენდერული სტერეოტიპები სოციალურ მედიაში", გვ. 51.

ვრცელდებოდა მემებიც, რომელთა მიზანიც ადრესატთა დისკრედიტაცია ან მათი სტერეოტიპიზაცია იყო.

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

Sapari / Laqgahn

UN JOINT PROGRAMME
FOR GENDER EQUALITY

შვედეთი
Sverige

UNDP